



სალოგზირდა ვეროელო

ქართული
1921 წლის

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

შანი 10 ქაბ.

306 პერკვის ქართველეს სამაზალოში?

სამაზალოში ქართველებს ბე-
ვრი ებრძვიან, ესენი არიან ცენ-
ტრისაგან დაგეშილი სეპარატი-
სტები, ჩრდილოვანი ეკონომიკის
მაფია, მათი ფულით შეიარაღე-
ბული ექსტრემისტთა ბანდები,
სამხედროები, რომლებიც წინათ
ოსი ექსტრემისტებისათვის რაკე-
ტებისა და იარაღის მოწოდებას
სჯერდებოდნენ, ახლა კი შინაგა-
ნი ჯარის ხელით ანგარიშის სწო-
რებას შეუდგნენ ქართველებთან
და საქართველოს მილიციასთან.

მაგრამ ამჟერად გვინდა ვისა-
უბროთ კიდევ ერთ ურდოზე,
ატრმა და ოსმა სეპარატისტე-
ბმა რომ შემოუსიეს. სამაზალო-
სი. ესენი არიან ჩრდილო ოსე-
თიდან და საბჭოთა ქვეყნის სხვა-
დასხვა რეგიონიდან ჩამოსული
ბანდები.

ფართოა მათი მოქმედების დი-
აზონი: ქართველების სახლების
ძარცვითა და დაწვით დაწყებუ-
ლი, მძევლად აყვანით, ჯოჯობე-
თური წამებითა და დახოცვით
დამთავრებული.

თებერვლის დასაწყისში ქარე-
ლის რაიონიდან ყორნისის რაი-
ონის სოფელ ქალეთში ორი ქა-
რთველი მანდილოსანი მძევლად
წაიყვანეს. მანდილოსნები თანა-
სოფლებმა გამოიხსნეს, მათი
გამტაცებელი ორი ექსტრემისტი
კი დააკავეს. ერთ-ერთი ბანდიტი
გ. ქელესაივი კემეროვოს ოლ-
ქიდან იყო ჩამოსული.

26 თებერვალს ყორნისის რაი-
ონის სოფელ აგნეში ოსმა ექს-
ტრემისტებმა დანაღმეს ერთ-
ერთი ქუჩა. დანაღმის ადგი-
ლზე შეიპყრეს ხუთი ექსტრემი-
სტი. ერთ-ერთი მათგანი ალან
ხუბაივი როსტოვის ოლქის აზო-
ვის რაიონის სოფელ კუჩეისი-
დან იყო ჩამოსული. ბანდიტებს
ჩამოერთვათ „ნაგანის“ ტიპის
რევოლვერი, საბრძოლო რაკეტა,
რაკეტის გასამართი აკუმულა-
ტორი და დასამიზნებელი ტელე-
კომპი. მწელი მისახვედრი არ უნდა
იყოს, რომელ უწყებაშია შექე-
ნილი ბანდიტების მთელი ეს სა-
მხედრო აღჭურვილობა.

ბანდიტების ერთი ჯგუფი 13 აბ-
რილსაც დააკავეს ცხინვალის შე-
სასვლელში. ამჟერად ისინი სა-
ქართველოს მილიციის დროებით
შტაბს დაესხნენ თავს და შინაგა-
ნი ჯარის ნაწილებსაც დაუშინეს
ცეცხლი.

ბანდიტებმა ჩვენი მილიციის
მუშაკები რომ არ დაინდეს, გა-
საგებია, მაგრამ რატომ ესრო-
ლეს სამხედროებს, ცოტა მწე-
ლია ამაზე პასუხის გაცემა.

შეიძლება ეს იყო პროვოკაცია,
რადგან მათ სამხედროებს ჩვენი
შტაბის მიდამოებიდან დაუწყეს
სროლა. ამით შინაგანი ჯარის შე-
საძლოა ეფიქრა ქართველი მი-
ლიციელები გვესეროიანო და, სა-
ქმე შეიარაღებულ კონფლიქტამ-
დე, სისხლის ღვრამდე მისული-
ყო.

ასეა თუ ისე, შვიდი ბანდიტი
დააკავეს. დადგინა მათი ვინაობა,
და ერთხელ კიდევ დადასტურდა,
რომ სამაზალოში დათარეშობენ
ჩრდილოეთიდან ჩამოსული ბან-
დები. 7 ბანდიტიდან ოთხი —
ელადიმერ მალდიგოვი, ბორის



M-100

რომან ქარეუნაშვილის ნახატი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება

რესპუბლიკაში პირველადი მოთხოვნის საფონდის ფასების მოწესრიგების შესახებ

სსრ კავშირის პრეზიდენტისა და სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით სახალხო მოხმარების საქონლის საცალო ფასების თავისუფლება გააძლიერებდა საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სამართლიანი გულსწყობა გამოიწვია. მდგომარეობა იმითაც მძიმდება, რომ ზოგიერთი პირველადი მოთხოვნილების საქონელზე საწარმოებისა (მწარმოებლებისა) და სავაჭრო ორგანიზაციებისათვის სახელშეკრულებო (თავისუფალი) ფასების დაწესების უფლების მიცემის შედეგად ფაქტობრივად უმართავი გახდა ფასწარმოების პროცესები და არაკეთილსინდისიერი პირების საშუალება მიეცათ საკუთარი ანგარიშებით მიზნებისათვის გამოეყენებინათ შექმნილი სიტუაცია.

პირველადი მოთხოვნილების საქონლის ფასწარმოების საქმეში სათანადო წესრიგის დამყარებლად:

1. დაწესდეს პირველადი მოთხოვნილების საქონელზე ერთიანი ფაქტობრივი სახელშეკრულო საცალო ფასები საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სახელშეკრულო და სამომხმარებლო კომპარატის ყველა სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტისათვის.

2. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროსთან, ცენტრის გამგეობასთან, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებთან, საწარმოებსა და ორგანიზაციებთან ერთად უმოკლეს ვადაში დააწესოს მტკიცე სახელშეკრულო საცალო ფასები პირველადი მოთხოვნილების იმ საქონელზე, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ხალხის ცხოვრების დონეს.

3. საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ და ცენტრის გამგეობამ, სავაჭრო ქსელის მქონე სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში საცალო ფასების (პრეისკლანტის) თვალსაჩინო ადგილზე გამოკრა.

4. აეკრძალოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სახელშეკრულო და სამომხმარებლო კომპარატის ყველა სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოსა და ორგანიზაციის სახელშეკრულებო (თავისუფალი) ფასების დაწესება საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებლად.

5. გაუქმდეს გაყიდვიდან 5-პროცენტის განაკვეთი საქართველოში წარმოებული და რესპუბლიკის ტერიტორიაზე სარეალიზაციო პირველადი მოთხოვნილების საქონელზე, ყურადღება-გაუთვებზე, ზოგიერთი სახეობის მომსახურებაზე, მათ შორის ტექსტილი.

6. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს დაუწყოს მკაცრი კონტროლი ფასების სფეროში სახელშეკრულო დისციპლინის განუხრელ დაცვას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი


ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 20 აპრილი.

ნუსხა

იმ სახითაა საქონლისა, რომელზეც ბაზრადება ერთიანი სახელშეკრულო ფასები დაწესდა, ნაცვლად სახელშეკრულო (თავისუფალი) ფასებისა:

1. უაღკოპოლო სასმელები და მინერალური წყლები;
2. საკონდიტრო ნაწარმი;
3. თევზი და თევზის პროდუქტები;
4. ეროვნულ-საბუნების-საბუნების, ორცხობილი;
5. ნაყინი;
6. საგლინე და საალადე ფქვილი;
7. ყველა სახის ძეხვეული და შაშხვეული.



ეს სიტყვები ეკუთვნის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას, რომელიც წარმოთქვა 20 აპრილს გამართულ სრულიად საქართველოს საზოგადოება „კახეთის“ პირველ ყრილობაზე. ეს იმის ნათელი დასტურია, თუ რა მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ამ რეგიონს რესპუბლიკის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

საზოგადოება „კახეთის“ დაფუძნებელი ყრილობის მიმართვა სრულიად საქართველოს

გამოხატა რა ქართველი ერისა და საქართველოში მცხოვრები სხვა ერთა წარმომადგენლების ნება, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ აღადგინა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, აირჩია საქართველოს პირველი პრეზიდენტი. ამით დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დამამთავრებელი ეტაპი, რომელმაც უნდა მოამზადოს პირობები ფაქტობრივი და სრული სუვერენიტეტის მოპოვებისათვის. მთავრდება ის 200-წლიანი კოლონიური ჩაგვრის ხანა, მეფის რუსეთმა 1801 წლის უსამართლო აქტით რომ მოგვავსია თავს.

ნებისმიერი გარდამავალი პერიოდი მეტად რთული ისტორიული პროცესია, რაც თავისთავად, განპირობებულია ერთი თვისობრიობიდან მეორეში გადასვლით. ჩვენთან ამ ბუნებრივ სირთულეს უფრო მეტად ამწვავებს საზოგადოებრივ-ეკონომიკური კრიზისი, რომელიც წარსულის უკომარტო ათწლეულებმა დაგვიტოვა მემკვიდრეობით. ამ კრიზისის დაძლევის საიმედო საშუალებად კი საქართველოს ცალკეული კუთხეების მეურნეობის ტრადიციული დარგების აღორძინება-განვითარებაზე დაფუძნებული ეროვნული ეკონომიკის შექმნა მიგვაჩნია. სწორედ ამ პირობების გადაჭრა განაპირობებს საერთო წარმატებას.

ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს ცალკეული რეგიონები და მთლიანად საქართველოც მწარმოებელი ძალის გარეშე დარჩა. „ინდუსტრიულს

მიმართვა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს

ბატონო პრეზიდენტო, მოგმართავთ სრულიად საქართველოს საზოგადოება „კახეთის“ დამფუძნებელი ყრილობის მონაწილენი.

კახეთი საქართველოს ერთ-ერთი კუთხე გახლავთ, ისტორიულად მეურნეობის ტრადიციული დარგებით განთქმული — აქაური ღვინოები, მარცვლეული თუ აბრეშუმი ბევრად განსაზღვრავდა საქართველოს ეკონომიკის სიძლიერეს. მას შემდეგ, რაც ჯერ მეფის რუსეთმა 1801 წელს და შემდეგ საბჭოთა რუსეთმა 1921 წელს ძალის გამოყენებით გააუქმეს საქართველოს დამოუკიდებლობა და დაიპყრეს ის, ფაქტობრივად მოიშალა და წაიხილა ამ კუთხის და მთლიანად საქართველოს ბევრი რელიგიური, ეროვნულ-კულტურული და სამეურნეო ტრადიცია. ჩვენი საზოგადოება ამ ტრადიციების აღდგენას ისახავს მიზნად. ეს კი მხოლოდ საქართველოს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის პირობებშია შესაძლებელი. ამ მიზნისათვის იბრძვიან დღეს მთელი საქართველო და

„კახეთი საქართველოს ბურჯია“

საზოგადოების წესდებამდე და გამოსვლებშიც კარგად არის შეფასებული კახეთის როლი და მნიშვნელობა დამოუკიდებელი საქართველოს შემდგომ განვითარებაში. დიდი ინტერესით აღიქვეს დამსწრეთ პრეზიდენტის სიტყვა, რომელმაც საზოგადოება „კახეთის“ უმნიშვნელოვანესი ამოცანები დაუსახა. კერძოდ, მან საზოგადოების ყურადღება მიამართა იმას, რომ საქართველოში უნდა შეიმართოს მმართველობის პერიოდში განაგებელი მეურნეობის აღდგენა, უღრესად მწვავე ეკოლოგიური, დემოგრაფიული საკითხების უსწრაფესად გადაწყვეტა, გამარჯვებულ გზაზე დასაბუთებინოს შექმნა, რომ კი არ ჩეხავდეს „შვილივით ნაზარდ“ ვაზს, არამედ, როგორც მამა-პაპადან მისდგამს, ისევე ელოლია-ვებოდეს და ხეავს და ბარაქს უქმნიდეს ოჯახსა და მამულსაც.

კახეთი, საქართველოს ბელადი წოდებული, მევენახეობა-მეღვინეობის ცენტრია. ბუნებრივია, სახალხო მეურნეობის ამ დარგის განვითარებისათვის დღენი-დაღ უნდა ვზრუნავდეთ, რამეთუ ვი ჩვენი რესპუბლიკის ძლიერების წყაროა.

შეეხო რა კახეთის, როგორც ეროვნული კულტურის მძლავრ კერას, ბატონმა ზვიად გამსახურდიამ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ამ რეგიონის მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლებს შევლა და

პატრონობა უნდა, ალავერდისა და გრემს, შუამთასა და იყალთოს — ყველას, ჩვენმა სახელოვნებმა წინაპარმა რომ დაგვიტოვა, სიცოცხლე უნდა გაუხანგრძლივდეს, რათა მომავალმა თაობებმა: ცოდნენ „ვისი გორისანი არიან“.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ყრილობას მიესალმა და დალოცა მამა ელისემ.

საზოგადოების ყრილობამ დამატრეკა სამოქმედო პროგრამა და წესდება, მიიღო მიმართვა ქართველი ხალხისადმი და სსრკ პრეზიდენტისადმი.

ყრილობამ საზოგადოების პრეზიდენტად აირჩია სოსო ბაჩიაშვილი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამდივნოს იურიდიული განყოფილების გამგის მოადგილე, ვიცე-პრეზიდენტად — იოსებ ხარატიშვილი, „სოფლმშენის“ კონკრეტული პრეზიდენტი, და ლოვარდ ტუხაშვილი, უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

ყრილობის დელეგატებმა საზოგადოება „კახეთის“ საპატიო წევრად აირჩიეს ბატონი ზვიად გამსახურდია.

ნოდარ ჯიფლაშვილი, საქინფორმის კორ.

საქართველოს ბარი, ცხვარ-ძროხა და თვით ფაბრიკა-ქარხნები. მნიშვნელოვანი ნაწილიც თანდათანობით უცხო ეთნოსის ხელში აღმოჩნდა. მწარმოებელი თანდათანობით, თითქმის მთლიანად, მოშტაბრებულ კრად ვიქციეთ. ერის გადაშენება თუ გინდა, პირველ რიგში ის შთამბეჭდავს უნდა გადააჩვიო. ნაწილობრივ ეს კიდევ მოახერხებს ჩვენმა მტრებმა. მიწისაგან გაუცხოვრებ, ქართული სოფლების დეპოლტიკალიზაცია კოორდინირებული ზღვარს მიადგინა. ამ პროცესის შედეგად განვითარება ეროვნული ტრადიციის ტოლფასი იქნება. ჩვენი ხსნა მიწისთან ქართველის ორგანული მთლიანობის აღდგენაშია საძიებელი. სოფელი იყო და უნდა დარჩეს ჩვენი ეროვნული ცხოვრების ბაზისი.

ვაჩრებთ რა საზოგადოება „კახეთის“, მიზნად ვისახავთ ჩვენი წვლილი შევიტანთ ეროვნული ეკონომიკის ფორმირების, ქართული ისტორიულ-კულტურული და რელიგიური ტრადიციების აღდგენის საშუალებად საქმეში. ვერავითარი ქველმოქმედება ვერ შეცვლის მუდმივად განვითარებად სამეურნეო ფუნქციას — ნაციონალური განვითარების კვლავ მყვიდრ ფუნდამენტს. ამიტომ ჩვენი ძირითადი სამოქმედო პროგრამა იქნება კახეთის ტრადიციული სამეურნეო დარგების — მევენახეობა-მეღვინეობის, მემარცვლეობის, მესაქონლეობისა და მებაღეობის აღორძინება და მათი ახალ ტექნოლოგიურ საფუძველზე განვითარება.

ამის განსახორციელებლად, ჩვენის აზრით, საქართველოში ეროვნულმა პარამენტმა, რომელმაც გარდამავალი პერიოდის არაერთი კარდინალური პოლიტიკური პრობლემის გადასაჭრელად უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები გადადგა, და რესპუბლიკის მთავრობამ გარკვეული პრივილეგიები მიანიჭოს 70 წლის მანძილზე დაქინებულ და ზოგჯერ მთლიანად გამჭრალ მეურნეობის ტრადიციულ დარგებს.

საზოგადოება „კახეთის“ პირველი, დამფუძნებელი ყრილობის მონაწილენი მთლიანად ვუქვით მხარს მრავალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ ეროვნულ და სამოქალაქო დემოკრატიზაციას, რესპუბლიკაში ფართოდ გავლილ საგაფიცო მოძრაობას.

ვაუქმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! ჩვენთან არს ღმერთო.

აქ მცხოვრები სხვა ერების წარმომადგენლები. საბასუბო „ცენტრმა“ ფაქტობრივად ომი გამოუცხადა საქართველოს და უკვე არაერთხელ ხედავთ — ძალის გამოყენებით ცდილობს ჩაახშოს ერის ბუნებრივი და კეთილშობილური სურვილი — იყოს თავისუფალი, მაშინ, როცა საქართველოსა და საბჭოთა კავშირს შორის კეთილშობილური ურთიერთობები, ეკონომიკური თუ კულტურული კავშირები ბევრად უფრო მომავლიანი იქნებოდა ორივე მხარისათვის, ვიდრე კოლონიური პოლიტიკაზე დაფუძნებული; თანამედროვე ცივილიზებული სამყაროსათვის სრულიად მიუღებელი, კამალონი და მოკიდებულება. საქართველო დაეთანხმებოდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდენტის წინადადებას საბჭოთა კავშირისა და საქართველოს რესპუბლიკის სრულყოფილი წარმომადგენელთა საკონსულტაციო შეხვედრის შესახებ, რაც საშუალებას მოგვცემს, მშვიდობიანი, პოლიტიკური მეთოდებით გადავიჭრას ყველა პრობლემა.

ბატონო პრეზიდენტო, ახლად შექმნილი საზოგადოების წევრები მთლიანად ვუქვით მხარს საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას, მრავალი მაგიდის პოლიტიკურ ორგანიზაციათა მიერ გამოცხადებულ ეროვნულ და სამოქალაქო დემოკრატიზაციას და გვწამს, რომ თქვენ, რომელსაც დიდი წვლილი მიგვიძღვინა დემოკრატიული პროცესებისა და ტრადიციული სისტემების რღვევის პროცესის დაწყებაში, საბოლოოდ ხელს არ აიღებთ თქვენს პრინციპებზე და სწორად გაიგებთ ქართველი ერის სწრაფვას, აღადგინოს ისტორიული სამართლიანობა და დაიბრუნოს ძალით წართმეული დამოუკიდებლობა.



კვირას აღინიშნა წმიდა კეთილმოწმუნე ქართველთა მეფის თამარის დღე. ეს დღესასწაული გარდაშავალია და აღინიშნება აღდგომიდან მესამე კვირას მენესაცხებულ დედათა ხსენებასთან ერთად.


თამარ მეფის ხსენების დღედ დაწესებულია აგრეთვე მაისის პირველი დღე (ძველი სტილით), და ეს შემთხვევითი არ არის, რადგანაც ქართველებისათვის მეფე თამარის სახელი უწმინდესია და მისი ხსენების დღეებიც არაერთი გვაქვს.

თამარის მეფობის ხანას ყოველთვის სიამაყით ვიგონებთ, როგორც საქართველოს აყვავებისა და ძლიერების ხანას. თამარის სახელი საქართველოს მრავალ ციხესა თუ ხიდს ჰქვია, მრავალ კუთხეში დღესასწაულობენ თამარობას, დღესასწაულოებენ წლის სხვადასხვა დროს.


თამარ ქართველებისათვის ეროვნული ძლიერების, გამარჯვების სიმბოლოა და დღეს ჩვენს სამშობლოში მისი სახელი სიამაყითა და მოწიწებით იხსენიება.

19 აპრილს გაიმართა სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების პირველი კონფერენცია. მისი მონაწილეები მიესალმნენ უკანასკნელ უმნიშვნელოვანეს მოვლენებს რესპუბლიკის ცხოვრებაში: საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებას რესპუბლიკის პრეზიდენტად ზვიად გამსახურდიას არჩევას? წუთიერი დღემილით მათ პატივი სცეს საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას, სამშობლოს სხვა ეროვნული შვილების ხსენებას.

მომხსენებელმა — გამგეობის წევრმა ვაჟა ადამიამ, ორატორებმა აღინიშნეს, კერძოდ, რომ ერთი წლის წინათ სამაჩაბლოში, შეიძლება ითქვას, ბრძოლის ველზე შექმნილი საზოგადოება დღეს თავისი პრინციპების ერთგულაა რჩება. მისი წარმომადგენლები ზოგჯერ საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავენ სამაჩაბლოში საქართველოს რესპუბლიკის მთლიანობასა და სუვერენიტეტს. შეძლებისდაგვარად მუშაობენ ეროვნულ პარლამენტში, მის მუდმივ კომისიებში. დამყარებულია კონტაქტები თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან. სხვათა შორის, ამ უკანასკნელებმა მოგვმართეს თხოვნით შექმნილი მერაბ კოსტავას საზოგადოების ფილიალი. საზოგადოების წევრებმა ხელი შეუწყვეს იმათ, ვისაც ეს განსაკუთრებით სჭირდება — საცხოვრებლის მიღების დაქარაქმებას, უკანონოდ დაკავებული გათავისუფლებას, პენსია დაუნიშნეს ბავშვებს, რომელთა მშობლები დაიღუპნენ სამაჩაბლოში, აღადგინეს და კეთილმოაწყვეს სამი დანგრეული ეკლესია.



სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების კონფერენცია



მაგრამ კონფერენციაზე უფრო მეტად ლაპარაკი იყო გადაუჭრელ პრობლემებზე. ორატორები მოითხოვდნენ საზოგადოების ყველა რეგიონული ორგანიზაციის მეტ შეკავშირებას და მოქმედების კოორდინაციას. მხარი დაუჭირეს ადგილებზე ახალ წარმოებათა შექმნას, მათთვის საჭირო ფინანსური მხარხმარების გაწევას, რაც საშუალებას იძლევა განზარდოს შემოსავალი მერაბ კოსტავას ფონდში.

კონფერენციამ ცვლილებები და დამატებები შეტანა საზოგადოების წესდებაში, კერძოდ, გადაწყვიტეს დააფუძნონ თავმჯდომარისა და მისი მოადგილის პოსტი. გაიმართა გამგეობის არჩევნები. სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულია ვაჟა ადამია.

ზურაბ შრამელიშვილი, საქინფორმის კორ.
სურათიანა: საზოგადოების თავმჯდომარე ვაჟა ადამია, კონფერენციის სხდომათა დარბაზში.
პაატა პარჩაძის ფოტოები. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

306 პერკმის ქართველებს საპანაგლოში?

(დასასრული)

ტუევი, არტურ ჯიოვი და თეიმურაზ გოგოჩიაევი. ჩრდილოეთ ოსეთის მაცხოვრებლები არიან, სამი კი საქართველოს მკვიდრია. ოღონდ დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ ამ სამიდან მხოლოდ ერთი — არკადი ჯიოვი სამაჩაბლოს, ყორნისის რაიონის მცხოვრებელი. დავით ხაჩიროვი გორის რაიონიდან ჩავიდა, დავით კახენოვი კი ქარელის რაიონის სოფელ ზღუდერიდან. ამ ექვსი თვის წინათ ჯერ ვლადიკავკაზში გადაბარგდა, მერე იქიდან შემოვიდა იარაღით ხელში ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბანდიტის ხელობის გამო მკვლელობა. მალე ეროვნულ-დემოკრატიული მისთვის უცხოა. სეპარატისტებს ეგონათ, ჩრდილოეთიდან მოწვეული ბანდიტები მათი ქართველებს აწიოვებდნენ. მაგრამ ანგარიში შეეშალათ. მას შემდეგ, რაც ცხინველი დატოვა ქართულმა მოსახლეობამ და იქ გასაძარცვავე აღარაფერი დარჩა, ჩამოსული ბანდიტები ოსების ძარცვაზე გაუადვილდნენ. თანაც არც თუ იშვიათია ბანდიტის ურთიერთშეტაკებაც გავლენის სფეროებისა და ნადავლის გაყოფის თაობაზე. ერთი ასეთი შეტაკება 19 აპრილის ღამესაც მოხდა ცხინველში. ამ შეტაკების დროს თანამომხებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ერთი ბანდიტი.

ჩრდილოეთიდან შემოსული მგლის ხროვა მგლური კანონებით მოქმედებს.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.
სამინფორმ.

ქეთონევა, ინფორმაცია

ბაბო

შაბათს, დღის 5 საათზე, საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორი დეპუტატი — ა. მამედოვი და გ. ალიევა. ისინი იყვნენ უმცირესობაში მყოფი დემოკრატიული ბლოკის აქტივისტები.

მამედოვი და ალიევა იყვნენ რესპუბლიკაში ცნობილი და აღიარებული მწიგნობრები. ალიევა იყო მეცნიერებათა დოქტორი, იგი ფლობდა ქართულ ენას და იყო აზერბაიჯანულ-ქართული ლიტერატურული კავშირების სპეციალისტი.

ოფიციალური ვერსიის თანახმად ეს ტრაგედია მოხდა შემთხვევით.

მზადდება სრულიად აზერბაიჯანული გაფიცვა. რესპუბლიკის საზოგადოებრიობა მოითხოვს ბაქოში საგანგებო მდგომარეობის გაუქმებას იმის გამო, რომ მოსახლეობას აღარ აქვს საშუალება ჩაატაროს მასობრივი საპროტესტო აქციები.

მთიანი ყარაბაღი

კვლავ გართულდა ვითარება მთიანი ყარაბაღში. პრაქტიკულად ყოველ დამე მიმდინარეობს ინტენსიური სროლა, არიან დაჭრილები, ადგილი აქვს შეიარაღებულ შეჯახებებს, ფაქტიურად ბლოკირებული ლაინები, ზანგედიანის რაიონში პუბატლიში.

ბოლო დროს აზერბაიჯანელი ბოვიკების მიერ განხორციელებული იქნა რამდენიმე თავდასხმა სომხურ დასახლებულ პუნქტებზე. სოფელ დრანტიკში დაიღუპა ერთი მოქალაქე, ორი კაცი მოიტაცეს. ერთი მათგანი, ქალი რამდენიმე საათის შემდეგ დააბრუნეს, ხოლო მეორე მოტაცებულის ბედი უცნობია.

გუშინ ბოვიკებმა ცეცხლი დაუშინეს სოფელ კორინტაკს, რის შედეგადაც დაიწვა ერთი სახლი. სტეფანაკურტში გავრცელდა პროკლამაციები, სადაც იყო მოწოდებები თანამშრომლობის აღდგენისა და მშვიდობისაკენ.

რიბა

ლიტვიის უზენაესი საბჭოს დადგენილებით შეწყდა მოქალაქეების საკუთრებაში მიწის ნაკვეთების გადაცემა.

ეს გადაწყვეტილება დეპუტატებმა დასახტუნეს იმით, რომ მშენებლობები შეიძლება განხორციელდეს ყოფილი მესაკუთრეების მიწებზე, რომლებსაც ექნებათ უფლება თავიანთი მიწების დაბრუნების შესახებ საკითხის დასმისა.

ნაკვეთების განაწილება გაგრძელდება მხოლოდ იმის შემდეგ, რაც უზენაესი საბჭო მიიღებს კანონს მიწის რეფორმის შესახებ.

ვლადიმერ სარიშვილი, ახალი ამბების სააგენტო „ავ-კაბიონი“

ყურადღება!

სააქციონერო საზოგადოება „საქართველოს უნივერსალური ბირჟა“ აცხადებს აქციებზე ხელმოწერას.

როგორც უკვე გაცნობეთ, „საქართველოს უნივერსალური ბირჟის“ შექმნის ძირითად მიზანს წარმოადგენს საბაჟო სტრუქტურების ჩამოყალიბება, მატერიალური, ნედლეული და საფონდო რესურსებით, საწარმო-ტექნიკური დანიშნულების, სახალხო მოხმარების და სხვა საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია, ახლად ათვისებული პროდუქციების ტექნოლოგიების და წარმოების დაფინანსება, საინფორმაციო სამსახურის (მონაცემთა ბანკის) შექმნა.

სააქციონერო საზოგადოების დამფუძნებლები არიან სამეცნიერო-სამრეწველო საწარმო „ივერია-კომპლექსი“, კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი, გაერთიანება „აგრომექსი“, ასოციაცია „განახლების ქართულ-ამერიკული დასი“, გაერთიანება „საქმედიტუმვაჭრობა“, მცირე საწარმო „ექო“, ბელგიურ ფირმა BSD IMPORT CO და სხვა. მისი საწესდებო ფონდი შეადგენს 20 მილიონ მანეთს, რომელიც განაწილებულია 50 ათასი

მანეთის ღირებულების 400 აქციაზე (ერთი ხმის უფლებით სააქციონერო საზოგადოების კრებაზე). აქციების ღირებულებაა 50 ათასი მანეთი იურიდიულ პირთათვის და 10 ათასი მანეთი კერძო პირთათვის. ამ უკანასკნელებს შეუძლიათ 50 ათასი მანეთის ღირებულების აქციის ერთობლივი მფლობელობა შესაბამისად თითო ხმის უფლებით აქციონერთა კრებაზე.

საწესდებო ფონდის ბრუნვის შედეგად მიღებული მოგების 75% ეკუთვნის სააქციონერო საზოგადოების წევრებს. აქციონერების დივიდენდი მათ მიერ დაბანდებული კაპიტალის შესაბამისად შეიძლება იყოს 20%-მდე. აქციებზე ხელმოწერის ვადაა ორი თვე განცხადების გამოქვეყნებიდან. აქციის ნაწილობრივ შესყიდვის პერიოდში მათ მფლობელებს გაეცემთ დროებითი მოწმობა, ხოლო ღირებულების მთლიანად დაფარვის შემთხვევაში სააქციონერო საზოგადოების წევრები ხელზე მიიღებენ ფასიან ქაღალდს — აქციას.

სააქციონერო საზოგადოების წევრთა პირველი შეკრება შესდგება ა. წ. 28 მაისს. მასში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა შეიტანონ შესასყიდი აქციის

ღირებულების არანაკლებ 40%-სა სააქციონერო საზოგადოების ანგარიშზე: კომერციული ბანკი „დრო“, ქ. თბილისი, საქართველოს სახელმწიფო ბანკის საოპერაციო სამმართველო, კოდი 521006, ა/ნ 000161103. კერძო პირთათვის ვადასახდელი თანხის შეტანა შეიძლება მთაწმინდის რაიონის ცენტრალურ შემნახველ ბანკში, რუსთაველის გამზ., № 15.

სააქციონერო საზოგადოების ღირებულებას შეგიძლიათ გავცნოთ ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ., 150ა-ში, (10.00-13.00), ფალიაშვილის № 85, კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის შენობა, 309-ე ოთახი (10.00-17.00), ი. ჭავჭავაძის გამზ., 49ბ-ში (10.00-17.00, სპორტული სასტუმრო-კომპლექსში საკუთრად აუზის უკან).

კონსულტაციებისათვის და წამოჭრილი საკითხების გადასაჭრელად მოგვმართეთ ტელეფონით შემდეგ ნომრებზე: 95-93-32 29-49-31 23-08-37

განცხადება საბროკერო ადგილების თაობაზე გამოქვეყნდება სააქციონერო საზოგადოების წევრთა მეორე შეკრების შემდეგ. შედავითი საბროკერო ადგილის მიღებაზე მიეცემათ აქციის მფლობელებს.

„ახალგაზრდა ივერიელი“ მფუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მხატვრული

მიხაილ მუსხი

და თანაბრძონებას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

